სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

97324121544717

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N170794305

რეგისტრაციის თარიღი

14.07.2017 წ

ნოტარიუსი: მარიამ შავერდაშვილი
მისამართი: დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3
ტელეფონი: (+995) 577 25 33 18

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი  წლის თოთხმეტ ივლისს, მე, ნოტარიუსს მარიამ შავერდაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3, მომმართა მოქალაქე გელა ლონდარიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ჯეო გრუპ"-ის დირექტორი და თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკაციო კოდი 423099587, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი  B15123908, მომზადების თარიღი 09/06/2015. მან, როგორც საზოგადოების დირექტორმა, გამოხატა მოქალაქე ბექა ლონდარიძის მიმართ მინდობილობის შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება.

მე შევამოწმე მისი პირადობა. წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ, მე ნამდვილად გელა ლონდარიძემ (დაბ. 29.12.1970 წელს, ასპინძაში, პ/ნ 05001002047, პ/მ N 15IA12784, რეგ. მისამართზე. დაბა ასპინძა, აკ. წერეთლის ქ. N9, ფაქტობრივი მისამართი:ქ. თბილისი, ალ. წულუკიძის I შეს. კორპ. 16, ბ.30) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მე დავადგინე მისი უფლებამოსილება, ნების გამოხატვის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი, განვუმარტე მიმნდობ პირს მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მიმნდობმა პირმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თოთხმეტ ივლისს,  მე, გელა ლონდარიძემ (დაბ. 29.12.1970 წელს, ასპინძაში, პ/ნ 05001002047) როგორც  შპს „ჯეო გრუპ"-ის (ს/კ 423099587) დირექტორმა, ბექა ლონდარიძეს (დაბ. 08.08.1994 წელს, ასპინძაში, პ/ნ  05001011148), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. ბექა ლონდარიძე უფლებამოსილია, იყოს საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და დადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულებები.

2. ამ დავალების შესასრულებლად ბექა ლონდარიძე უფლებამოსილია, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს/გამოითხოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია, ჩააბაროს და/ან აიღოს ნებისმიერი საბუთი, საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს გადასახადები, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას (მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტებს) და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

3. მინდობილობა გაცემულია  უვადოდ გადანდობის უფლებით და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

მინდობილობა გაცემულია 4 (ოთხ)  ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემი სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო სამი გადაეცემა მიმნდობ პირს.

სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის ორი დოკუმენტი:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკაციო კოდი 423099587, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი  B15123908, მომზადების თარიღი 09/06/2015.
- შპს „ჯეო გრუპ"-ის წესდება (ფოტოასლი ამობეჭდილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდიდან).

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 (ათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი (დღგ ჩათვლით), თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლის I პუნქტისა. სულ გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი.

მიმნდობი პირი

ნოტარიუსი

მარიამი შავერდაშვილი

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N170794573 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 14.07.2017 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის ასლის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ქეთევან ბოჭორიშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი N9, მეორე სართული |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 322307013 599220171 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 01068039716217 |

საქართველო
სანოტარო აქტი
თავფურცელი

ორიათას ჩვიდმეტი წლის თოთხმეტ ივლისს, მე, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი N9, მე-2 სართული მომმართა ბექა ლონდარიძემ (დაბ. 08.08.1994წ. ასპინძა, პ/#05001011148, რეგისტრირებული: დ. ასპინძა აკ.წერეთლის ქ. #16) რომელმაც განაცხადა, რომ შპს ,,ჯეო გრუპ"-ის (ს/კ 423099587) დირექტორის - გელა ლონდარიძის (დაბ. 29.12.1970წ. ასპინძა, პ/#05001002047, რეგისტრირებული: დ. ასპინძა აკ.წერეთლის ქ. #9) მიერ, მის მიმართ შესრულებულია სანოტარო მოქმედება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას გადასცემს მას, მან აგრეთვე წარმოადგინა სანოტარო აქტის რეკვიზიტები და განაცხადა, რომ სურს ამ მინდობილობის ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ამოღებული სანოტარო აქტის, მინდობილობის ასლის სანოტარო წესით დამოწმება;
მოქალაქის მიერ წარმოდგენილი მონაცემების გამოყენებით მე ნოტარიუსმა ქეთევან ბოჭორიშვილმა, ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ამოვიღე მინდობილობა და ვამოწმებ ამ დოკუმენტის (მინდობილობა რ/რ#170794305, დამოწმებული 14.07.2017წ ნოტარიუს მარიამ შავერდაშვილის მიერ, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი: 97324121544717 2გვ. 1ეგზ) ფოტოასლის სისწორეს მის ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ამოღებულ დოკუმენტთან,უკანასკნელში ამოფხეკილი, მიწერილი, გადაშლილი სიტყვები და სხვა აღუნიშვნელი გასწორებანი ან რაიმე თავისებურებანი არ აღმოჩენილა.
გადახდილია საზღაური: თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507) 31.5 - 1.00 ლარი, + აგრეთვე დღგ- 0.18 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონისა.

ნოტარიუსი: /ქეთევან ბოჭორიშვილი/

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18